P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ჯიხურების პატრონი:

„მართლა სასაცილო გახდა ქუთაისი, თავის მერიან გუბერნატორიანად“

რა უფრო არცხვენს ქუთაისს, 21-ე საუკუნის ჯიხურები თუ ჯიხურების მეპატრონესთან გაწყვეტილი ხელშეკრულება?

იხილეთ მე-5 გვერდზე

რატომ ემუქრება ქუთაისს სიკვდილი ავტობანის გახსნისა და პარლამენტის გადატანის შემდეგ

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 8 (696) 24 - 30 მარტი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

მალხაზ ჭრელაშვილი:

„ისევ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ გავაცოცხლოთ ეს ქალაქი“

ძველებმა ინდუსტრიის ფუნქცია მიანიჭეს ქუთაისს და ამან იმუშავა გარკვეული პერიოდი, წინა ხელისუფლებამ — საპარლამენტო და ამანაც ვერ მოგვცა ჩვენთვის სასურველი შედეგი...

იხილეთ მე-3 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ძალიან მალე საზოგადოება და ჩვენ, ყველა ერთად, გავიგებთ სიმართლეს, როგორ მოხდა ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის გარდაცვალება“

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის საქმეში მნიშვნელოვანი დეტალების გამოჩენა და გახსნა ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დააანონსა მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. დღეს უკვე ხელისუფლება ახალი საქმის გახსნის ახალ ანონსს ავრცელებს, ოღონდ მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში დაუდგენელმა პიროვნებამ ყოფილი პრემიერის გარდაცვალებაზე ვიდეო ატვირთა.

სოციალურ ქსელ youtub-ზე ატვირთული ვიდეო, ეს არის საგამოძიებო საქმეში არსებული ფოტომასალის მონტაჟი, რომელმაც ნამდვილი შოკი გამოიწვია საზოგადოებაში. ამ ფოტომასალას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც კი გამოეხმაურა. როგორც მან აღნიშნა, რომ ესმის რამდენად მძიმეა ზურაბ ჟვანიას ოჯახისთვის ამ კადრების ნახვა.

„გავრცელებულ კადრებში შეუიარაღებელი თვალით აშკარად ჩანს, რომ ძალიან ბევრი საეჭვო გარემოება იკვეთება... ვფიქრობ, ამ საქმეს აღარ სჭირდება ზედმეტი სპეკულაციები, პროკურატურას აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმა. დიდი იმედი მაქვს, ისინი ძალიან მალე დაასრულებენ გამოძიებას. ასევე ვიცი, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებენ საერთაშორისო საექსპერტო ბიუროებთან, რათა ოჯახების თანხმობის შემდეგ ცხედრების ეგსჰუმაცია მოხდეს. დაველოდოთ, იმედი მაქვს, ძალიან მალე საზოგადოება და ჩვენ ყველა ერთად გავიგებთ სიმართლეს, როგორ მოხდა ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის გარდაცვალება,“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქუთაისში რვაწლიანი უკანონობა კულმინაციას უახლოვდება?

სახელმწიფო ქონების უკანონო გაქირავებისთვის, შესაძლოა, მზია გიორგაძე 9000 ლარამდე დაჯარიმდეს

იხილეთ მე-5 გვერდზე

ევროპამ შეიძლება, თავად უბიძგოს პუტინს, უკრაინის შემდგომი დანაწევრებისაკენ...

ევროპა უძლურია რუსეთთან?!

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქართული ჟურნალისტიკის დღე ქუთაისში

იხილეთ მე-2 გვერდზე

ჭიათურაში საწარმოო ტრამვისაგან ადამიანი გარდაიცვალა

იხილეთ მე-4 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ცოლის ცემა გამართლებულია თუ საჭმელს წვავს, უნებართვოდ გადის სახლიდან, უარს ამბობს სექსზე...

იხილეთ მე-7 გვერდზე



როგორ და რატომ დავიწყოთ მეფუტკრეობა?

იხილეთ მე-7 გვერდზე

სკანვორდი — გვ. 8

კროსვორდი — გვ. 8

ევროპამ შეიძლება, თავად უბიძგოს პუტინს, უკრაინის შემდგომი დანაწევრებისაკენ...

ევროპა უძლურია რუსეთთან?!

რუსეთის აგრესიულმა ქმედებამ ყირიმთან დაკავშირებით და დასავლეთის რეაქციამ ამ აგრესიულ ქმედებაზე, უკვე გააჩინა კითხვა — ხომ არ არის უძლური ევროპა რუსეთთან? ვლადიმერ პუტინმა მოაწერა ხელი ბრძანებას და ყირიმი რუსეთს ოფიციალურად მიუერთა. საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს, რომ რუსეთმა ამით ყირიმის ანექსია მოახდინა. ამერიკელი და ევროპელი ლიდერები ვლადიმერ პუტინს ემუქრებიან და მოუწოდებენ, რომ შეჩერდეს სანამ გვიან არ არის, თუმცა ამას, ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ, განაცხადა, „უკრაინაში მდგომარეობის უფრო დაძაბვა არავის ინტერესებში შედის, მიზანი კი დეესკალაცია და არა სიტუაციის გართულება უნდა იყოს." კერის აზრით, ამ სიტუაციას არ უნდა შეეწიროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სირია, ირანი, ავღანეთი; საკითხები, სადაც მხარეებს შორის თანამშრომლობა შედგა. როგორც ჩანს, დასავლეთი ჯერ კიდევ ფრთხილობს და იმედი აქვს, რომ რუსეთის პირველ პირს რადიკალური ზომების გარეშე „მოიყვანს ჭკუაზე." თუმცა, ამ სიფრთხილემ უკვე კითხვის ნიშნები გააჩინა — ხომ არ არის დასავლეთი უძლური დაიცვას თავისი მოკავშირეები რუსეთისგან?!

„ამერიკას სურს ამ საკითხების ირგვლივ თანამშრომლობა. აშშ არ დაუშვებს კანონის საბოლოოდ დარღვევას, არ დაუშვებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგისა და საერთაშორისო სტრუქტურის ნგრევას, ერთი რომელიმე ქვეყნის მოქმედებით. პრეზიდენტ პუტინზე და რუსებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტენ მოქმედებას. ჩვენ მზად ვართ, დამატებითი, სერიოზული დარგობრივი სანქციების დაწესებით ვიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკანონო მოქმედებებს — მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის გადაკვეთას და სუვერენული ტერიტორიის ფარგლების დარღვევას გააგრძელებენ," — განაცხადა კერიმ „ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში.

ექსპერტი კავკავსიის საკითხებში მამუკა არეშიძე კი აცხადებს, რომ დასავლეთის უმოქმედობით შესაძლოა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განადგურება დაემუქროს. მისი თქმით, დასავლეთი მოქმედებს და იმოქმედებს, ოღონდ ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით. ამასობაში, ჩვენ შეიძლება, დავინგრეთ.

„ახლა მე მაგალითს მოგიყვანთ, გავიხსენოთ ავღანეთის ამბავი, როდესაც მთელი მსოფლიო ყალყზე დადგა და ჯიმი კარტერი, რომელიც ძალიან რბილი ადამიანი იყო და, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირს გათვლილი ჰქონდა, რომ კარტერისნაირი პიროვნება მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამდა, თუმცა კარტერი მაშინ აიძულა სენატმა და ამერიკულმა პოლიტიკურმა ისტებლეიშენმა, რომ აქტიური ყოფილიყო. თუმცა, დასავლეთის აქტიურობა ავღანელების დაცვის თვალსაზრისით, წლებში გაიწერა. პრაქტიკულად, ისინი გონზე მოსვლას მოუნდნენ სამი-ოთხი წელიწადი და სამ-ოთხ წელიწადში ძალიან ბევრი ადამიანი შეიძლება, დაიღუპოს. ანუ დასავლეთს არ ჰყავს ისეთი ლიდერები დღეს, რომლებიც მყისიერ რეაგირებას მოახდენენ. თუმცა, ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რუსეთის ეკონომიკა მიწასთან გაასწოროს. დასავლეთისთვის გადატვირთვის პოლიტიკა დამთავრდა, მაგრამ ჯერ არ დაწყებულა რუსეთის გონზე მოყვანის პოლიტიკა და ამასობაში ჩვენ შეიძლება დავინგრეთ. არამარტო ჩვენ, არამედ – ბევრი პოსტსაბჭოტა ქვეყანა," — აცხადებს მამუკა არეშიძე გაზეთ „ახალ თაობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში.

ევროპა უძლურია რუსეთთან?!

როგორც ჩანს, რუსეთის წინაშე ევროპის უძლურებაზე საუბრობენ თავად ევროპაშიც. ფრანგული გამოცემა Le Monde აქვეყნებს სარედაქციო სტატიას სათაურით „ევროპა უძლურია რუსეთთან." როგორც სტატიაშია აღნიშნული, ვლადიმერ პუტინს ყველა საფუძველი აქვს თვითკმაყოფილებისათვის. ევროპელების რეაქცია რუსეთის პრეზიდენტის დანაშაულზე ყირიმში მინიმალური იყო. მოსკოვმა მიითვისა უკრაინის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილი, მაგრამ ევროპამ საჭიროდ არ მიიჩნია, რამე ეღონა. ძალიან სახიფათო სიტუაცია იქმნება.

სანქციების პირველ ტალღას ევროკავშირის 28 წევრის მხრიდან, რომელიც მოიცავს ვიზების და ინვესტიციების შეჩერებას, 17 მარტს მეორე მოჰყვა. მაგრამ ისიც კოსმეტიკური ხასიათისაა. ყველაფერი დაყვანილია კონკრეტულ ზომებამდე 21 ადამიანის მიმართ. ესენი არიან რუსი დეპუტატები და სამხედროები, ასევე – კრემლის მიერ ხელდასმული ყირიმის ახალი ხელისუფლება. აშშ ამ გზაზე ოდნავ შორს წავიდა, მიიღო რა ზომები პუტინის უშუალო გარემოცვის ადამიანთა წინააღმდეგ.

როგორც ეს ხშირად ხდება საგარეო პოლიტიკაში, ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილება განსხვავებულ მოსაზრებათა საერთო ნიშნულად იქცა. სამხრეთ ევროპა საბანს ერთი მიმართულებით ქაჩავდა (არაფერი რუსეთის საწინააღმდეგო), ჩრდილოეთ ევროპა კი აბსოლუტურად სხვა მხარეს (მკაცრი პოზიცია პუტინთან დიალოგში). გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი სადღაც შუაში აღმოჩდნენ და მკაფიო არჩევანი ვერ გააკეთეს.

საზღვრების შეცვლა და ნაციონალიზმის აღზევება

Le Monde-ს სარედაქციო სტატიაში წერია, რომ აღნიშნულ სიტუაციაში, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პარამეტრები, რომელთა გაუთვალისწინებლობა უბრალოდ არ შეიძლება. ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ გაზზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, რუსეთი, სადაც, ფაქტობრივად, არაფერს არ აწარმოებენ ჰიდროკარბონის, იარაღის და არყის გარდა, შესანიშნავი ბაზარია ევროპელი ექსპორტიორებისათვის.

შედეგად, უკვე მეორედ, საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთმა ძალით შეცვალა საზღვრები ევროპაში, და ეს მნიშვნელოვან ფასადაც კი არ დაუჯდა. ეს ყველაფერი ევროპელებს იმისკენ უბიძგებს, რომ დღეს, როგორც მინიმუმ, მტკიცედ დადგნენ კიევის მხარეს.

ყირიმი, ისტორიულადაც და მოსახლეობის თვალსაზრისითაც, დიდწილად მართლაც რუსული მიწაა. მაგრამ ძალისმიერი გადატრიალება მაინც გადატრიალებაა, იმ შემთხვევაშიც, თუკი მას რეფერენდუმით ამყარებენ. შიშველი ფაქტები მოგვითხრობს უსიამოვნო სინამდვილეზე: რუსეთმა უარი უთხრა უკრაინას უფლებაზე, დამოუკიდებლად აირჩიოს სავაჭრო ალიანსები, შემდეგ კი დასაჯა ის, ძალით წაართვა რა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი.

საქმე ეხება 1994 წელს მოსკოვის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევას უკრაინული საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ეს ყველა საერთაშორისო წესს ეწინააღმდეგება. და ბოლოს, ყველაფერი ნაციონალიზმის აღზევების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რომელსაც კრემლი მხარს უჭერს ხელისუფლების სამსახურში მყოფი მედიის დახმარებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის, მაგალითად, უკრაინის აღმოსავლეთით, რუსულენოვან რეგიონებში.

„ევროკავშირის თქმით, ის ცდილობს, მოსკოვთან დიალოგის შესაძლებლობის შენარჩუნებას უკრაინის მომავალზე. თუმცა, კრემლმა ასეთი სირბილე შეიძლება სისუსტის ნიშნად აღიქვას. ამიტომ ევროპამ შეიძლება, თავად უბიძგოს პუტინს, უკრაინის შემდგომი დანაწევრებისაკენ," — მიიჩნევს Le Monde-ს სარედაქციო სტატიის ავტორი.

ციტნე პაატაშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

Ⓡ — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ქართული ჟურნალისტიკის დღე ქუთაისში

1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღე ერთობლივად დააწესეს. მას შემდეგ, ყოველწლიურად, 21 მარტს, საქართველოში „ქართული ჟურნალისტიკის" დღეს აღნიშნავენ. წელს ქართული ჟურნალისტიკა იუბილეს ზეიმობს. ის 195 წლისაა.



ჟურნალისტიკის დღედ 21 მარტის დაწესება დაკავშირებულია იმასთან, რომ 1819 წლის სწორედ ამ დღეს თბილისში პირველი ქართულენოვანი გაზეთი დაარსდა. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი", ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი" ეწოდებოდა. საყურადღებოა, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „საქართველოს გაზეთით" იწყება. „საქართველოს გაზეთი" იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა იყო.

***

ჟურნალისტიკის დღეს ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებაც ტრადიციულ მიღებას აწყობს ხოლმე ქალაქის მედიის წარმომადგენლებისათვის. ამჯერად მეოთხე ხელისუფლებას პირველი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა: ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ, იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან კირკიტაძემ მიულოცეს პროფესიული დღესასწაული და წარმატებები უსურვეს.

***

ჟურნალისტიკის დღე სადღესასწაულო მიღებით აღნიშნეს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშიც.

აქ ძველი და ახალი თაობის ჟურნალისტებს უმასპინძლეს.

ცნობილი ჟურნალისტის, ნანული ცხვედიანის ინიციატივით ბიბლიოთეკაში შეკრებილ სტუმრებს სკაიპის საშუალებით მიმართა ამერიკაში მოღვაწე ქართველმა ჟურნალისტმა მანუჩარ კაჭახიძემ.

მანუჩარ კაჭახიძე წლებია, რაც ამერიკაში ცხოვრობს და ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ ქართულ გაზეთს, „მამული". მანუჩარმა აუდიტორიას მის მიერ შეგროვილი ქართული კოლექცია გააცნო, დაათვალიერებინა „მამულის" რედაქცია და ამერიკაში არსებული ერთადერთი ქართული ეკლესია.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მედიის წარმომადგენლები, აფხაზეთის ომში მომუშავე ჟურნალისტები. გაიმართა ვიქტორინა, ვიქტორინაში გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ჟანა ჯაველიძე

მალხაზ ჭრელაშვილი:

„ისევ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ გავაცოცხლოთ ეს ქალაქი“

ძველებმა ინდუსტრიის ფუნქცია მიანიჭეს ქუთაისს და ამან იმუშავა გარკვეული პერიოდი, წინა ხელისუფლებამ — საპარლამენტო და ამანაც ვერ მოგვცა ჩვენთვის სასურველი შედეგი...

რა უარყოფით გავლენას მოახდენს ქუთაისის ეკონომიკაზე შემოვლითი გზის გაკეთება, რეალურად რა საფრთხეები არსებობს ამ მხრივ და თავად ქუთაისის ხელისუფლებას თუ შეუძლია ამ საფრთხეების თავიდან აცილება? — ამ საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ ჭრელაშვილს.

მალხაზ ჭრელაშვილი

მალხაზ ჭრელაშვილი:

–რა თქმა უნდა, მარტივი მიდგომითაც შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური გზის ავლა ამ ეტაპზე და ის გარემოებაც, რომ რკინიგზაც არ შემოდის ქალაქში, როცა ჯერ კიდევ ეკონომიკურად არ ვართ ძლიერი სახელმწიფო, არის დასაქმების, წარმოების განვითარების და სოფლად თუ ქალაქად წარმოებული პროდუქციის არათანაფარდობა, ასეთი სიტუაცია ვერ ქმნის სახარბიელო პოზიციას ჩვენი ქალაქისათვის.

რა თქმა უნდა, რაც მეტადაა ინფრასტრუქტურა განვითარებული და ეს ერგება ქალაქს, მით მეტია ერთიან ეკონომიკაში ჩართვის მარტივი და პირდაპირი გზები რიგითი მოსახლისათვის. ამაზე თავის დროზე არ იფიქრა ძველმა ხელისუფლებამ საბჭოთა წლებში და არც უახლოესმა წინა ხელისუფლებამ, რათა კომპლექსურად განეხილათ ეს საკითხი. ძველებმა ინდუსტრიის ფუნქცია მიანიჭეს ქალაქს და ამან იმუშავა გარკვეული პერიოდი. წინა ხელისუფლებამ — საპარლამენტო და ამანაც ვერ მოგვცა ჩვენთვის სასურველი შედეგი. ამიტომაა საჭირო, ისევ ჩვენ ვიფიქროთ, როგორ გავაცოცხლოთ ეს ქალაქი, თუნდაც ასეთი პატარა სტრატეგიების თუ გრძელვადიანი გეგმების შესრულებით...

— ამ პრობლემაზე ქუთაისის ხელისუფლების (ან თუნდაც ეკონომიკის სამსახურის) მიერ თუ ყოფილა საკითხის განხილვა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, თუნდაც რეგიონული განვითარების სამინისტროსთან და როგორია მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

– ჩვენ რაც შევძელით, იყო ის, რომ ვიმუშავეთ და დავდეთ ქუთაისის განვითარების სტრატეგია 2013-2017 წლამდე. მისი ინიციატორი იყო ეკონომიკური სამსახური, ამისათვის შეიქმნა სტრატეგიული საბჭო და შემდგომ USAID-იც ჩაერთო ამ მიმართულებით. ეს სტრატეგია გასული წლის თებერვალში დაამტკიცა ქუთაისის საკრებულომ. თუმცა, როგორც მოვლენებმა აჩვენა, ამისათვის არ ეცალა არავის ამ ქალაქში, სხვა პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე. და თაროზე დარჩა... აქ მინდა, მადლობა ვუთხრა თავის დროზე ჩართულობის კუთხით ახალგაზრდა იურისტებს და ახალგაზრდა ეკონომისტებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ სტრატეგიის მომზადებაში.

ამ სტრატეგიაში არის ძირითადი პრიორიტეტები, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ქალაქი გეგმიურად 2017 წლამდე და რაა ძირითადი პრიორიტეტები... აქ ესაა მთავარი, რომ თუ დოკუმენტი მივიღეთ გარკვეული გეგმით, საჭიროა მისი შესრულებაც. თუ რაიმე განსხვავებაა, არც ესაა პრობლემა, შეიძლება გადახედვაც და ცვლილებებიც, მაგრამ ამასაც, ალბათ, სწორად განხილვა და მიდგომა უნდა.

დოკუმენტის მიხედვით, მთავარი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია, ქალაქის გამწვანება, რომელიც 3-ჯერ ნაკლებია დასაშვებ სტანდარტებზე; ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა — ავტოსადგური, ქალაქის ახალი სატრანსპორტო პარკი, პარკირების ახალი სისტემა. თანამედროვე კომპლექსური სპორტის სასახლის მშენებლობა, ტყე-პარკის გაშენება, ძველი ხეების შეცვლა ახალი ნარგავებით. ქალაქის განათების სისტემის შეცვლა, ურბანული დაგეგმარების დასრულება, ქალაქის ქონების ინვენტარიზაცია.

თუმცა, ვფიქრობ, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი ურთიერთობა რეგიონული განვითარების სამინისტროსთან, კიდევ უფრო მეტი ჩართულობით. იმედია, იქნება მეტი საშუალება ამ კუთხით. უამრავი პროექტის გაკეთება შეიძლება მათთან ერთად ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე... არ უნდა ვიყოთ მხოლოდ ისეთი პროექტებით დაკავებული, რომელიც, მართალია, ყოველდღიური და პრობლემურია (მაგ. კანალიზაცია, წყალი, ღვარსადენი...), არამედ – ისეთი პროექტებიც უნდა გაკეთდეს, უფრო გრძელვადიანი, რომელიც უკეთეს პერსპექტივას შეუქმნის ქალაქს...

დღეს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი შოთა მურღულია დაინტერესებულია ამ გეგმის დახვეწითა და განხორციელებით და იმედია, არჩევნების შემდეგ უფრო ეფექტურად შესაძლებელი იქნება სწრაფი ნაბიჯების გადადგმა ქუთაისის განვითარებისათვის.

ნატო გუგელაძე

რატომ ემუქრება ქუთაისს სიკვდილი ავტობანის გახსნისა და პარლამენტის გადატანის შემდეგ

„პოსტსკრიპტუმის“ რედაქციამ მიიღო ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის ხაზინის განყოფილების ხელმძღვანელის, ბატონ რევაზ რობაქიძის ძალიან საინტერესო წერილი, რომელშიც ბატონი რეზო მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოხატავს ქუთაისის მოსალოდნელ კრიზისულ ვითარებასთან დაკავშირებით და ამ კრიზისის დაძლევის რეკომენდაციებსაც გვთავაზობს.

„თუ გავიხსენებთ მსოფლიო მანქანათმშენებლობის დედაქალაქად წოდებული „დეტროიტის“ შემთხვევას, რომელიც დღეს გაკოტრებულად გამოცხადდა, ქუთაისმა იგივე ბედი, როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიზიარა. ქუთაისის მოსახლეობა ინდუსტრიული ქალაქის დაბრუნების მოლოდინშია, რომლის პერსპექტივაც რეალობასაა მოწყვეტილი. თუ გავაანალიზებთ იმ პროექტებს, რომლებიც ქუთაისში უნდა განხორციელდეს, მათი რეალიზება მიმდინარე ეტაპზე აუცილებელი მინიმალური საჭიროებების გადაწყვეტას მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს.

მიმდინარე წელს ქუთაისის ბიუჯეტიდან სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დაიხარჯება 64 მლნ. ლარი, რაც ერთ სულ მოსახლეზე წლიურად შეადგენს — 355 ლარს, ხოლო თვის მანძილზე — 29 ლარს. ამასთან, თუ შევადარებთ აღნიშნულ ხარჯების ოდენობას უცხოეთიდან მოსახლეობაზე ტრანსფერების ჩარიცხვას, სურათი ასეთია; ყოველწლიურად ტრანსფერების სახით უცხოეთიდან ქუთაისში შემოედინება საქართველოს მასშტაბით ჩამორიცხული მთლიანი ტრანსფერების, დაახლოებით, 6%-ი, რაც თანხაში შეადგენს, დაახლოებით 87 მლნ. ლარს, ე.ი. წლის მანძილზე ქუთაისის ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით 483 ლარი შემოედინება უცხოური ტრანსფერების სახით, რაც თვის განმავლობაში ერთ სულზე — 41 ლარს შეადგენს. საზღვარგარეთიდან შემოსული ტრანსფერები თითქმის 13 მლნ-ით მეტია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასაწევ ხარჯებზე. რომ არა უცხოური ტრანსფერები, ქალაქის საერთო ეკონომიკური სიტუაცია უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ტრანსფერების უმეტესობას მოსახლეობა იყენებს მოხმარებაზე, პირველადი საგნების შეძენისა და სხვადასხვა საჭიროებებისათვის, რომლებიც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე ეფექტურ გავლენას ახდენს. წარმოდგენილი სურათი ქმნის შთაბეჭდილებას ქუთაისის, როგორც ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ და კრიზისების მომლოდინე ქალაქზე. **კრიზისული მდგომარეობის დაძლევა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რომელსაც ქუთაისის აღგილობრივი თვითმმართველობის მენეჯმენტი მარტო ვერ შეძლებს.**

ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, უახლოეს პერიოდში დასრულდება ქუთაისის ამვლელი გზის — ავტობანის ექსპლუატაციაში გაშვება, ქალაქის ჩრდილოეთით 2-2.5კმ. დაშორებით. ამას ემატება ყველა ქუთაისელისთვის მტკივნეული თემა — პარლამენტის გადატანა თბილისში, რომელიც გადაწყვეტის ფაზაშია. **ფაქტობრივად, ქუთაისი ავტობანის ამოქმედებისა და პარლამენტის გადატანის შემთხვევაში, ორი უკიდურესობის წინაშე აღმოჩნდება, რასაც შედეგად ეკონომიკური აქტივობის შემცირების პარალელურად, შესაძლებელია, მოყვეს ქალაქიდან ადამიანური რესურსების გადინება.** პრობლემების დაძლევის შესახებ დაწყებული მსჯელობა, დისკუსია, წინადადებების შემუშავება შესაბამის სამუშაო ჯგუფებში უნდა გაგრძელდეს. თუ პარლამენტი ქუთაისში გააგრძელებდა მუშაობას, ინტელექტუალური ინსტიტუტების არსებობა ხელს შეუწყობდა დღემდე არსებული ეკონომიკური აქტივობის ოდნავ შენარჩუნებას. რეალურად პარლამენტის გადატანა გადაწყვეტის ფაზაშია შესული და პროცესის შეჩერება მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. მოსაზრებები იმის შესახებ, რომ პარლამენტის შენობა მომავალში გამოყენებულ იქნას საუნივერსიტეტო დაწესებულებად, უცხოური წარმომადგენლობისათვის, ანდა გადაკეთდეს „ოლიმპიკ არენად,“ ჯერჯერობით, მხოლოდ მოსაზრებებია. ამდენად, პარლამენტის შენობის დატვირთვის გზები და საშუალებები გადატანის შემთხვევაში უფრო გამოიძებნება. მაგრამ, **რაც შეეხება ავტობანის ამოქმედებას, ეს ქალაქის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობის აქტივობას მნიშვნელოვნად შეამცირებს, ვიდრე პარლამენტის შენობის უფუნქციოდ დატოვება. გამოდის, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაშვებული შეცდომა მეორდება, როცა რკინიგზის მთავარი მაგისტრალი აარიდეს ქუთაისს.** მაშინაც ქალაქის საზოგადოება მხოლოდ იმ დროს გააქტიურდა, როცა ქუთაისი ქვასატეხებიდან, სასაკლაოს, სასწორების, ფარეხების და ხიდების იჯარით გაცემის შედეგად ამოღებული თანხების იმედად დარჩა. რა ღონისძიებებია საჭირო კრიზისული მოლოდინის შესაჩერებლად?

1. თუ გავითვალისწინებთ განვითარებული ქვეყნების ქუთაისის მსგავსი ახალი ტერიტორიული განლაგების (ავტობანთან სიახლოვე) ქალაქების სიტუაციას, მათ ინფრასტრუქტურის განვითარება და გაფართოება მოახდინეს შემოვლით გზასთან — ავტობანთან ახლოს, რამაც ასეთ ქალაქებს შეუნარჩუნა ეკონომიკური აქტივობა, შეაჩერა ადამიანური რესურსების გადინება და ქალაქი უფრო სიცოცხლისუნარიანი გახდა.

2. გასაზრდელია ქალაქში თავისუფალი ეკონომიკური ზონების რაოდენობა, რისი მასშტაბებიც ქალაქს გააჩნია.

3. წინადადება, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ, ითვალისწინებს რიონჰესის დასახლებაში არსებული ხელოვნური ტბის, როგორც დასასვენებელი ადგილის, მოწყობას (ლოპოტის ტბის მსგავსი ინფრასტრუქტურით). ჩვენს მიერ მოპოვებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მისი აღდგენა სავსებით შესაძლებელია. აღნიშნულ ტერიტორიაზე სასურველია, გაშენდეს თანამედროვე ტიპის ტურბაზის კომპლექსი ან სასტუმროები, გაიწმინდოს და სასარგებლო დანიშნულება მიეცეს წყალსაცავს, რომელიც საცურაო და მოყვარული მეთევზეებისათვის სათევზაო ადგილად გადაიქცევა. პროექტის პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა ფონდების ჩართულობით თანადაფინანსების პრინციპით.

4. მოსაფიქრებელია პატარა ლოკალური პროექტები, რომელიც ავტობანის სიახლოვეს განხორციელდება. ყველა პროექტი უნდა შეიცავდეს მცირე საწარმოთა ამოქმედებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

5. ვიზიარებთ ერთ-ერთ მოსაზრებას, პარლამენტის გადატანის შემთხვევაში — შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის „ოლიმპიკ არენად“ შესაძლო მოწყობის შესახებ.

6. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის რეალურად ჩამოყალიბება შესაძლებელია, ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებული ბაზის რეაბილიტაცია-გაფართოებით, რაზეც შესადგენია პროექტი, რომელიც განსახილველად უნდა წარედგინოს შესაბამის სტრუქტურებს.

7. ახალ რეალობათა გათვალისწინებით დასაჩქარებელია ქუთაისის ქალაქდაგეგმარების პროგრამის შედგენა.

ეს ჩამონათვალი მცირედი ნაწილია წინადადებათა პაკეტებისა და ვფიქრობთ, საზოგადოების ფართო ჩართულობის შემთხვევაში ბევრი საინტერესო და საქმიანი პროექტი გამოჩნდება, რაც მნიშვნელოვნად წაადგება როგორც ახალი რეალობის გათვალისწინებით ქალაქდაგეგმარების პროგრამის შედგენას, ასევე ქუთაისის მომავალ პერსპექტივას.“

რევაზ რობაქიძე
ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის ხაზინის განყოფილების ხელმძღვანელი

ჭიათურაში საწარმოო ტრამვისაგან ადამიანი გარდაიცვალა

„ჯორჯიან ამერიქენ ელოისისაგან" შპს „დათუნიმ" დარკვეთში მდებარე გამამდიდრებელი ქარხანა დემონტაჟისათვის შეისყიდა და თავადვე ახორციელებს დემონტაჟს. 20 მარტს კედლის დემონტაჟის დროს, უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო ნანგრევებში ორი მუშა მოჰყვა, რომელთაგან ერთ-ერთი, ლაშა გურული, გარდაიცვალა. მეორე მუშა მძიმე ტრავმებით გადაიყვანეს საჩხერის სამედიცინო ცენტრში.

„ამერიქენ ელოისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ „ელოისს" არანაირი სამართლებრივი კავშირი არ აქვს დემონტაჟთან და პასუხისმგებლობაც შემსყიდველ ორგანიზაციას ეკისრება. აქვე მწუხარებას გამოთქვამენ ტრაგედიის გამო და დასძენენ, რომ უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით მისცეს რეკომენდაცია შემსყიდველს. თუმცა, როგორც ფაქტიდან ჩანს, უსაფრთხოების ნორმები არგათვალისწინებულა.

დემონტაჟის პარალელურად ობიექტიდან ყოველდღიურად ლითონის საკმაოდ დიდი რაოდენობა გაჰქონდათ. გამამდიდრებელი ქარხანა ბოლო პერიოდში აღარ ფუნქციონირებდა და საჩხერე-ჭიათურის შემაერთებელი გზის თითქმის შუა ადგილას მდებარეობს.

როლანდ ხოჯანაშვილი
psnews.ge

გელათის ქუჩის დაზიანებული გზა წელს არ შეკეთდება?

ქუთაისში, გელათის ქუჩა სავალალო მდგომარეობაშია: დაზიანებულია სამანქანო გზა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, გზა ზამთრის შემდეგ გაფუჭდა — ყინვამ სულ დაშალა ასფალტი და ორმოები გაჩინა, რის გამოც ავტომობილებს გადაადგილება უჭირთ.

„ეს გელათის ტაძრისკენ მიმავალი გზაა. ტაძარს უამრავი უცხოელი ტურისტი სტუმრობს წელიწადის სხვადასხვა დროს და ასეთ პირობებში გადაადგილება ნამდვილად არ არის საამაყო და გამოსაჩენი. თუ სრულ რეაბილიტაციას არ მოახდენენ, ეს ორმოები მაინც ამოავსონ და მძღოლებს არ მოუწევთ მანქანების ნაწილების „იამებიდან" ამოკრეფა," — განაცხადა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა ადგილობრივმა ქალბატონმა.

ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის **მალხაზ ბასილაძის** თქმით, 2014 წლის ინფრასტრუქტურის პროექტში არ არის შესული გელათის ქუჩის რეაბილიტაცია, რადგან გზის შეკეთებას ხელს უშლის იქ მიმდინარე წყალგაყვანილობის მოსაწესრიგებელი სამუშაოები.

გელათის ქუჩაზე წყალგაყვანილობის სამუშაოებს შპს „კობრა" აწარმოებს.

„წლევანდელ ინფრასტრუქტურის პროექტში ვერ შევიდა გელათის ქუჩის შეკეთება, იქ მიმდინარეობს წყლის სისტემის მოწესრიგება, მილების გაყვანა, აუზის გაკეთება და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების დასრულებისთანავე დავიწყებთ გზის რეაბილიტაციას. ორმული შეკეთებაც ვერ მოვახერხეთ, ხელი რომ არ შეგვშალა მილების გაყვანაში," — განაცხადა მალხან ბასილაძემ.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

ირაკლი ღარიბაშვილი: „ძალიან მალე საზოგადოება და ჩვენ, ყველა ერთად, გავიგებთ სიმართლეს, როგორ მოხდა ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის გარდაცვალება"

პირველი გვერდიდან

„სოციალურ ქსელში ორი დღის წინ გავრცელებული მასალა, სავარაუდოდ, სახელდახელოდ არის გაკეთებული და ვიდეოს ფორმით არ არის ჩაწერილი. დედანი არის ფოტომასალა. შეიძლება იყოს რაღაც ნაწილი ვიდეომასალიდან გაკეთებული," — აცხადებს „ინტერპრესნიუსთან" საუბარში ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე, რომელმაც პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგამოძიებო ფილმი „ტყვიის გარეშე" გადაიღო.

„მე ამ მასალის შესახებ ვიცოდი. ჩემი მოსაზრებით, ეს არის ფოტომასალა, რომლის შესახებაც მე მქონდა ინფორმაცია. მასალა, რომელზეც მე მქონდა ინფორმაცია, აღწერილობით ძალიან ჰგავს სოციალური ქსელებით გავრცელებულს... ეს მასალა დათა ახალაიას კაბინეტში იყო 2005 წელს, როცა მოხდა ჟვანიას გარდაცვალების შემთხვევა. მე ამის შესახებ მოწმეებისგან ვიცი. შემდეგ ეს საქართველოდან გაიტანეს, სად წაიღეს, იყო თუ არა პროკურორის სეიფში, ეს უკვე არ ვიცი," — აცხადებს კომახიძე.

რაც შეეხება კადრების ავთენტურობას ანუ ნამდვილობას, პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თემურ დოლიძის განმარტებით, ავთენტურობას ის ფაქტი ადასტურებს, რომ კადრები საქმის მასალებშია ჩადებული. დოლიძე ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ სეიფში შენახული ვიდეო და ფოტომასალა მისი დელიკატურობიდან გამომდინარე არ საჯაროვდებოდა.

„გავრცელებული კადრები ავთენტურია, რადგან მსგავსი მასალები საქმის მასალებშიც მოიძებნება. მურთაზ ზოდელავა აცხადებს, რომ ეს საქმე არის დელიკატური თემა, მაშინ, როდესაც ჩვენებაში დააფიქსირა, რომ საქმეს საერთოდ არ იცნობს და კადრები ნანახი არ აქვს. შესაბამისად, გაუგებარია მისი განმარტება," — განაცხადა დოლიძემ.

ბრიფინგი ღამის 12 საათზე მთავარ პროკურატურაში და დაკავებების დაწყება ექსპერტით...

ვიდეოს გავრცელებას პროკურატური გააქტიურება მოჰყვა. ღამის 12 საათზე გამართულ ბრიფინგზე მთავარი საგამოძიებო ორგანოს სპიკერმა საზოგადოებას ამცნო, რომ დააკავეს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე ლევან ჩაჩუა. როგორც მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნეს, ექსპერტმა არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი ვალდებულებები და სრულყოფილად არ აღწერა გვამზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გარდაცვლილს აშკარად ჰქონდა სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი ექსპერტ ლევან ჩაჩუას დაკავებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას სურს საზოგადოება მუდმივ დაძაბულობაში იყოს.

„ღამის 12 საათზე ბრიფინგის დანიშვნა ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, მუდმივ დაძაბულობაში, საგიჟეთში აცხოვრონ ადამიანები. პროკურატურამ ახალი მძევალი აიყვანა. თქვენ თავად ხართ ამ საქმეზე თქვენივე შექმნილი ყალბი გარემოებების და დაპირებების მძევლები და ახლა უშედეგოდ ეძებთ გამოძრომის გზას. ცუდია, რომ ამ გზაზე არანაირ სიმდაბლეს არ ერიდებით. პროკურატურიდან სურათების გამოპარებისა და გავრცელების ჩათვლით," — განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

ლევან ჩაჩუას დაკავების ფაქტს გამოეხმაურა გიგი უგულავაც. თბილისის ყოფილი მერის თქმით, სრულიად უკანონოდ უკვე ოთხი თვეა, ფაქტოვრივად, მძევლადაა აყვანილი ზურაბ ჟვანიას ყოფილი დაცვის უფროსი კობა ხარჩილაძე.

„ახლა ექსპერტ ლევან ჩაჩუას აკავებენ მხოლოდ იმიტომ, რომ გუშინ ივანიშვილისთვის მიუღებელი სიმართლე თქვა. ამასობაში პროკურატურის საგამოძიებო მასალებიდან ფოტოები ჟონავს. იმის ნაცვლად, რომ ეს მარაზმი გამოეძიებინათ ექსპერტს აპატიმრებენ. ეს ფოტოები წელიწადნახევარია პროკურატურას ედო და ლევან ჩაჩუას მას შემდეგ აკავებენ, როცა ფოტოშოპით დამუშავებულმა ფოტოებმა გაჟონა. მინდა მივმართო ამ მთავრობას! ხომ არ გაგიჟდით ბოლომდე! ასე სიმართლე არ იძიება! ასე საქმე არ კეთდება! ამით თქვენ არა ჩვენ, „ნაციონალურ მოძრაობას", გვაყენებთ ზარალს, არამედ იმ ხალხს ვისაც კითხვები აქვს ზურას გარდაცვალებასთან დაკავშირებით! ზურას ოჯახს და გულწრფელ, უანგარო მეგობრებს და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს! ვხედავ, რომ მალე და ცუდად დაამთავრებთ და სულ არ მიხარია, რადგან ეს ყველაფერი ჩვენ ქვეყანას ავნებს. მოდით გონს სანამ არაა გვიან!" — განაცხადა გიგი უგულავამ.

„დაცვას არ შეეძლო, მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი..."

ექსპერტის შემდეგ ყოფილი პრემიერის დაცვის ცვლის უფროსის მიხეილ ძაძამიას ჯერიც დადგა. პროკურატურამ ისიც სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ბრალდებით დააკავა.

„პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ზ. ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მ. ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღმოჩენილი იქნა გარდაცვლილი. ამავდროულად მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ," — განაცხადეს მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბერძენიშვილის თქმით, ძაძამიას მიერ კანონის დარღვევა ეჭვს არ იწვევს. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ დაცვის სამსახურს კანონი სხვა მოთხოვნებს უყენებს. „მე ყოველთვის მაკვირვებდა რატომ, არავინ, არასოდეს არ აღელვდა იმის გამო, რომ ჟვანია დაცვის მიერ არ იქნა დაცული. თუ ახლა ვინმე მეტყვის, პრემიერ-მინისტრს მარტო უნდა ევლო, სხვადასხვა ოთახში დაცვის გარეშე აღმოჩენილიყო, კანონში ასე არასდროს არ ეწერა. ამ შემთხვევაში იმ კაცს, რომ კანონი აქვს დარღვეული ეჭვს არ იწვევს," – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

მიხეილ ძაძამიას დაკავებას საკმაოდ უცნაურად გამოეხმაურა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წევრი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ძაძამიასთან გარიგება მოხდა. მაჭავარიანის თქმით, „ლევან ჩაჩუა იყო ის ადამიანი, რომელიც მათ ხელს უშლიდათ. მისი დაკავება ძალიან უცნაურად მოხდა, დაკითხვაზე იყო ადამიანი, გამოუშვეს, გააკეთა კომენტარი და შეაბრუნეს საგამოძიები უწყებაში. დღეს კი გამოჩნდა ძაძამია, რომელიც მე ვფიქრობ, დასჭირდათ, რათა მათ აბსურდულ ვერსიაზე ისაუბროს," — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

მიხეილ ძაძამიას შესახებ საუბრობს ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძეც. „მე ვარ ამისი მოწმე. ოჯახის დახმარებით ერთხელ ჩავწერე ძაძამიას მონათხრობი და ის იყო ძალიან წინააღმდეგობრივი. გამოძიებასაც მან მისცა წინააღმდეგობრივი ჩვენებები. ჯერ თქვა, რომ ალკოჰოლური სასმელი და სურსათი შეიძინა სააკაძის მოედანზე; როცა აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის ის მაღაზია ვერ იქნებოდა ღია, მერე გადათქვა და თქვა, რომ შეიძინა საბურთალოს ქუჩაზე. ხომ არ შეიძლება ადამიანს, პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრს, რომელიც ძალიან ხშირად დადის იმ ტერიტორიაზე, აერიოს, სად შეიძინა სურსათი. ამის გარდა, ვერ აზუსტებდა, ისმოდა თუ არა გაზის ხმა, როდესაც შევიდნენ ბინაში. ის ამბობდა, რომ გაიგო გაზის ხმა, სინამდვილეში „თბილგაზს" საერთოდ გადაკეტილი ჰქონდა გაზის სისტემა და ხმას ვერ გაიგებდა. წინააღმდეგობრივი იყო მისი ჩვენება, როდესაც ამბობდა, რომ ფანჯარა გააღეს და ისე შევიდნენ ბინაში, მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანია სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. შემდეგ, ექსპერიმენტის დროს, აღმოჩნდა, რომ ფანჯრიდან ისინი ვერ შევიდნენ. სხვა არაერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ჰქონდა ჩვენებაში," — აცხადებს ვახტანგ კომახიძე „ინტერპრესნიუსთან" საუბარში.

რატომ ახლა?!

ჟვანიას საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვის ნიშნებზე საუბრობენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" (საია) აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით აუცილებელია გამოძიება მაღალ პროფესიულ დონეზე, ობიექტურად და ამ საქმის პოლიტიზირების, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების, გამოძიების უახლოეს დღეებში დასრულების მრავალჯერადად დაანონსების გარეშე წარიმართოს. ეს აუცილებელია, რათა არ დაზიანდეს გამოძიების ინტერესები.

„თუ ეს ფოტოები ავთენტურია და მათზე მართლაც არის აღბეჭდილი ის დაზიანებები, რაც წლების წინ ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში არ არის ასახული, ცხადია, ჩნდება დამატებითი კითხვები როგორც ექსპერტების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი წარმომადგენლების მიმართ. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ პროკურატურას ლ. ჩაჩუას მიმართ გაუჩნდა კითხვები და ამ მიმართულებით გამოძიება დაიწყო. თუმცა, საინტერესოა, კონკრეტულად როდის დაიწყო გამოძიება, დაუდგენელი პირის მიერ აღნიშნული ფოტოების ინტერნეტში განთავსების შემდეგ თუ მანამდე? ასევე, გაუგებარი რჩება რატომ დასჭირდა პროკურატურას ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეზე 1 წელზე მეტი დრო იმის გასარკვევად, რომ 2012 წელს ყოფილი მთავარი პროკურორის სეიფში აღმოჩენილი მასალა ექსპერტიზის დასკვნაში ასახული არ იყო?" — ნათქვამია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ასევე, როგორც საია-ს განცხადებაშია ნათქვამი, მიუხედავად იმის, თუ რომელი ხელისუფლების დროს გახდა ხელმისაწვდომი დაუდგენელი პირისთვის ინტერნეტში გავრცელებული კადრები, ფაქტი ერთია: სამართალდამცავი ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ასეთი მნიშვნელობის მქონე საქმეზე მასალების სათანადოდ შენახვა. ეს გარემოება გამოძიებას საჭიროებს.

საია მოუწოდებს გამოძიებას გაითვალისწინოს, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში, გარდაცვლილთა ოჯახის წევრების, ჟურნალისტების, დაცვის მხარის, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა დაინტერესებულ პირთა მხრიდან დაისმება არაერთი კითხვა.

„ამ კითხვებს სჭირდებათ კვალიფიციური, მაღალპროფესიული პასუხები, რათა არასათანადო პასუხებმა ახალი კითხვები არ გააჩინოს" — ნათქვამია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადებაში.

ცოტნე პაპაშვილი

ჯიხურების პატრონი:

„მართლა სასაცილო გახდა ქუთაისი, თავის მერიან გუბერნატორიანად"

რა უფრო არცხვენს ქუთაისს, 21-ე საუკუნის ჯიხურები თუ ჯიხურების მეპატრონესთან გაწყვეტილი ხელშეკრულება?

ქუთაისში განთავსებული ჯიხურების აღების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება ამ ეტაპზე ბრძანებად რჩება და მის საფუძველზე „ვადაგასულ" ჯიხურებში განთავსებული „ბარაქიანი" პროდუქტი კვლავ მყიდველის განკარგულებაშია. ამის მიზეზი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელმაც შპს „მადლს" სარჩელი ხელშეკრულების გაწყვეტის გაუქმების შეჩერებაზე დაუკმაყოფილა.

სასამართლომ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან წარდგენილი არგუმენტები შპს „მადლთან" ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე არასაკმარისად მიიჩნია და დამატებითი მასალების მიწოდებამდე საქმის მოკვლევა შეწყ და; შპს „მადლის" ერთ-ერთი თანამფლობელი, ზურაბ უჩემბეგაშვილი, სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ მერიის იურიდიულ სამსახურს დამატებითი მტკიცებულების წარდგენა გაუჭირდება, რადგანაც მხარეებს შორის პირობების დამრღვევი თავად ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობაა.

„აქ ვიღაც კერძო პირების ინტერესებია, მათ დაარწმუნეს ქალაქის მერიც, ხელშეკრულება გაეუქმებინა და ადმინისტრაციულ სხდომაზე გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტაზე ჩვენს გარეშე ჩუმად მიიღეს ისე, რომ ჩვენი არცერთი წარმომადგენელი არ მოუწვევიათ. ეს არ არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება? ან რა 10-დღიან ვადაზეა საუბარი, ჩვენ საკრებულოს გადაწყვეტილებას მედიის საშუალებით არ უნდა ვიგებდეთ, ისინი ტყუიან, როცა ამბობენ, რომ ბრძანება გამოგვიგზავნეს, არანაირი ბრძანება ჩვენამდე არ მოსულა და, საერთოდ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? წინა მერს მოსწონდა ხელშეკრულება და გაგვიფორმა, ახალ მერს აღარ მოსწონს და აუქმებს, ვითამაშოთ ასე პინ-პონკი? მართლა სასაცილო გახდა ქუთაისი თავის მერიან გუბერნატორიანად", — აცხადებს უჩუმბეგაშვილი.

თავის დროზე ერთხმად მხარდაჭერილ პროექტზე კითხვის ნიშნები ახალი მერის მოვალეობის შემსრულებლის მოსვლისთანავე გააჩნდა. შოთა მურღულია იმთავითვე არ მალავდა თავის არაკეთილ განწყობას ჯიხურების მიმართ და სამართლებრივი მოკვლევაც მისი დავალებით დაიწყო. მურღულია თავის პოზიციებში დღესაც პრინციპულია: „პირველი კურსის სტუდენტი-ეკონომისტიც ადვილად მიხვდება, რომ ეს

„P.S. ფოტო" (ეკა შალამბერიძე) ©

ადგილები, სადაც ჯიხურები დადგეს, ფაქტობრივად, გაჩუქებულია. წარმოიდგინეთ ქალაქის საუკეთესო ტერიტორიებზე მოიჯარე წლის მანძილზე 85 ლარს იხდიდა, ანუ 10-დან 15 კვადრატულ მეტრამდე ადგილებში თვეში მხოლოდ 7 ლარს, ჩვენ საფუძვლიანი არგუმენტები გვაქვს საიმისოდ, რომ ხელშეკრულება გაწყდეს და ამ ადგილებსაც ბევრად მაღალ ფასად გავაიჯარებთ. თუ სასამართლო ფინანსურ კომპენსაციებს დაგვაკისრებს შპს „მადლის" სასარგებლოდ, წინამორბედი ჩვენი კოლეგები გადაიხდიან, რომლებმაც შპს „მადლის" ხელშეკრულება გაუფორმეს.

როდის, როგორ და ვის სასარგებლოდ გადაწყდება შპს „მადლსა" და ქალაქის მერს შორის დაწყებული სასამართლო დავა, ჩვენი მკითხველი ამას სასამართლოს დასრულების შემდგომ შეიტყობს.

ეკა შალამბერიძე

ქუთაისში რვაწლიანი უკანონობა კულმინაციას უახლოვდება?

სახელმწიფო ქონების უკანონო გაქირავებისთვის, შესაძლოა, მზია გიორგაძე 9000 ლარამდე დაჯარიმდეს

ქუთაისში, ფალიაშვილის ქ. №23-ში (ე.წ. „პასაჟას" ტერიტორია) განთავსებული კომერციული ფართი დღემდე უკანონოდ ქირავდება. ამ თემით „P.S." გასული წლის ოქტომბრის თვეში დაინტერესდა. ჟურნალისტური გამოძიების შედეგად კი დადგინდა, რომ ფალიაშვილის №23-ში მდებარე საერთო სარგებლობის გასასვლელი, ერთ-ერთი ინდ.მეწარმის, მზია გიორგაძის მიერ 8 წელია, უკანონოდ ქირავდება.

„P.S. ფოტო" (ჟანა ჯანელიძე) ©

მესაკუთრე ინდ.მეწარმეები: ეკატერინე ალფაიძე, ავთანდილ შანიძე და ბესიკ სურმავა ერთ-ერთ თანამესაკუთრეს, მზია გიორგაძეს აღნიშნული ფართის ნაწილს უკანონოდ მითვისებასა და უნებართვოდ გაქირავებაში წლების მანძილზე ადანაშაულებდნენ.

მეწარმეებმა ქალაქ ქუთაისის მერიას არა ერთხელ მიმართეს თხოვნით, რომ დადგენილიყო აღნიშნული ფართის მესაკუთრე და ამავე დროს, როგორც უსაფრთხოების, ასევე — კომერციული თვალსაზრისითაც, აკრძალულიყო საერთო სარგებლობის გასასვლელში ყოველგვარი ობიექტის მოწყობა.

მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მიერ თანამესაკუთრეებისათვის გაგზავნილი პასუხის მიხედვით დადგინდა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე არსებულ საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართები 13 მეწარმის საკუთრებაშია, მათ შორის, ერთ-ერთ თანამესაკუთრედ ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული ირიცხება, კერძოდ, მის საკუთრებაშია ე.წ. „პასაჟას" საზოგადოებრივი გასასვლელი, ფართით 57,31მ².

ოფიციალური ინფორმაციის მოსაპოვებლად სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურს მივმართეთ, რომლის არქივიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ გიორგაძეები 8 წლის განმავლობაში უკანონოდ აქირავებდნენ სახელმწიფოს ქონებას, სადაც ხდება ხორცის რეალიზაცია. სწორედ ეს ხორცის დახლი წარმოადგენს პრობლებას, რომელიც საერთო სარგებლობის გასასვლელში აფერხებს მოძრაობას და სხვა მესაკუთრეებს აზარალებს. თუმცა, სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურისგან ჩვენს შემდეგ წერილზე, რომელშიც ვითხოვდით პასუხს კითხვაზე: თუ ვის ევალება ქალაქის ცენტრში კერძო პირის მიერ უკანონოდ მითვისებულ და გაქირავებულ ფართზე რეაგირება და რატომ არ დაინტერესდა შესაბამისი სამსახური 8 წლის განმავლობაში აღნიშნული ფაქტით, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სხვა კერძო მესაკუთრეები აქტიურად და არაერთხელ მიმართავდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, — პასუხი ვერ მივიღეთ.

ამ თემის აქტუალურობა კვლავაც ძალაშია. როგორც ერთ-ერთმა მესაკუთრემ, თამაზ მელაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მას დაუკავშირდა ქუთაისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბაქარ ჭეიშვილი, რომელიც გამოეხმაურა ფალიაშვილის №23-ში მდებარე კომერციული ფართის მესაკუთრეების მორიგ, კოლექტიურ განცხადებას. ბაქარ ჭეიშვილი მელაშვილს და სურმავას 2014 წლის 23 იანვარს შეხვდა. შეხვედრას აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ, მათთან ერთად იყო ნოდარ მიქიაშვილიც.

„მერიიდან დამიკავშირდა ბაქარ ჭეიშვილი, რომელმაც თანამესაკუთრეები დაგვიბარა მასთან გასაუბრებაზე. გვითხრა, რომ ჩვენს განცხადებას კარგად იცნობდა და მოისურვა საქმის მასალების განხილვა მესაკუთრეებთან. 26.02.2013 წლის პასუხით მათ გვითხრეს, რომ აღნიშნული დახლი არ ზღუდავდა მათ ფართს და თქვენ თქვენს თავს მიხედეთო, ამჯერად კი, ადრინდელთან განსხვავებით, აღიარეს, რომ იქ მდებარე ფართი მათი საკუთრებაცაა. მასალებს კარგად ვიცნობთ და პირველ მარტამდე დაიცადეთ და მოვაგვარებთ ყველაფერსო.

მათი დაპირებით, 23 თებერვლიდან პირველ მარტამდე უნდა მომხდარიყო დახლის დემონტაჟი. ამ პირობის დამადასტურებელი რაიმე ოფიციალური დოკუმენტი მათ ჩვენთვის არ მოუციათ, შეთანხმება მხოლოდ სიტყვიერად მოხდა. რადგან წლების მანძილზე ვერაფერს გავხდით და ახლა გამოჩნდა ადამიანი, რომელიც რაღაც ნათელი წერტილი იყო ამ სიტუაციაში, ჩვენც ვენდეთ მას და დავემშვიდობეთ იმ პირობით, რომ ერთ კვირაში მოგვარდებოდა პრობლემა," — ამბობს **თამაზ ალფაიძე.**

გავიდა პირველი მარტიც ისე, რომ გიორგაძეებს ხორცის დახლი არ აუღიათ. მელაშვილის განცხადებით, ვადის გადაცილების შემდეგ ის კვლავ შეხვდა ბაქარ ჭეიშვილს, რომელმაც უთხრა, რომ აღნიშნული სადავო ფართის საქმე საკრებულოს გადაეცა განსახილველად, რომლის გადაწყვეტილებითაც გიორგაძეებს 3000 ლარის ოდენობით ჯარიმა და ერთი თვის განმავლობაში დახლის დემონტაჟი დაეკისრათ.

ამ ინფორმაციას მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბაქარ ჭეიშვილიც ადასტურებს. მისი განცხადებით, გიორგაძეები უნებართვოდ აქირავებენ აღნიშნულ ფართს. შესამაბისად, უნდა აღიკვეთოს უკანონობა.

„მას არა ერთხელ მივეცით ვადა, რომ აეღოთ დახლი, თუმცა რეაგირება არ მოუხდენია, ჩვენ საკრებულოს გადავეცით ეს საქმე, რომელმაც განიხილა და გამოვიდა12 მარტის №290 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ფალიაშვილის ქ. №23-ში მდებარე საერთო სარგებლობის გასასვლელი ერთი თვის ვადაში უნდა განთავისუფლდეს და აღებული იქნას ხორცის სარეალიზაციო დახლი", — განაცხადა **ბაქარ ჭეიშვილმა.**

როგორც გაირკვა, გიორგაძეებს გაეგზავნათ ბრძანების პირი და დახლზე გააკრეს გამაფრთხილებელი ბანერი, თუმცა მათ ბანერი ჩამოხიეს და საკრებულოს ბრძანება არ ჩაიბარეს. ბაქარ ჭეიშვილის განცხადებით, ის მზია გიორგაძესაც შეხვდა და ესაუბრა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, მას ხელმეორედ ფოსტით გაეგზავნა ბრძანება რომელიც ამჯერად, ჩაიბარეს.

„თუ ერთი თვის განმავლობაში მზია გიორგაძე არ გადაიხდის ჯარიმას და არ მოახდენს დახლის დემონტაჟს, ჯარიმა გაიზრდება 6000 ლარამდე, შემდეგი ერთი თვის გასვლის შემდეგ ჯარიმა კვლავ 3000 ლარით გაიზრდება. საბოლოოდ, 9000 ლარზე შეჩერდება ჯარიმის ზრდა და მოხდება მათი ქონების დაყადაღება. იმ შემთხვევაში, თუ მზია გიორგაძემ სასამართლოში გაასაჩივრა საკრებულოს გადაყვეტილება, ჯარიმის გადახდა და დემონტაჟის მოთხოვნა სასამართლოს საბოლოო დასკვნამდე შეჩერდება.

ამჟამად დროის ათვლა დაწყებულია, საკრებულოს გადაწყვეტილებით, წამზომი 15 მარტს ამოქმედდა და საბოლოო სახეს 15 აპრილს ველით.

ჟანა ჯანელიძე

მაცაცო მასწავლებლის სახელობის შეხვედრათა კლუბი – „დავდგათ სამოვარი და ვისაუბროთ"

„სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ" – ასე ეწოდა მზის ღიმილად დარჩენილი ქალბატონის, მაცაცო ლოსაბერიძის, ლამაზი სიცოცხლის გაგრძელებას ქუთაისის №23 საჯარო სკოლაში, სადაც ვაჟა-ფშაველას კაბინეტში მუშაობა გააგრძელა საინტერესო შეხვედრათა კლუბმა „დავდგათ სამოვარი და ვისაუბროთ". კლუბს მაცაცო ლოსაბერიძის სახელი ეწოდა, რადგან რამდენიმე წლის წინ სწორედ მან დაუდო საფუძველი ამ კლუბის ჩამოყალიბებას.

ქართული ლიტერატურის უზომო სიყვარულმა და ნიკალას სიტყვებმა შთააგონა თურმე კლუბის შექმნის იდეა. იგი მოწვეულ სტუმრებს მაღალი გემოვნებით შერჩეული მხატვრული სიტყვებით უამბობდა ორი ბუმბერაზი ადამიანის – ვაჟასა და ნიკალას შეხვედრის შესახებ.

წუთისოფლის სიმრუდემ ნაადრევად შეწყვიტა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონის, მაცაცო ლოსაბერიძის, სიცოცხლე.

საღონურ შეხვედრაზე მოგონება მოგონებას ენაცვლებოდა, სევდა და მონატრება ეჭიდებოდა ერთმანეთს, რადგან სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში თითქოს ისევ დააბიჯებს თვალებბრიალა მაცაცო, ქართული მზით გამთბარი მშობლიური ენის სიყვარულით გაგიჟებული, მარად ქალური ღირსებით სავსე და დაუღლელი კისკისით, მზე ეტეოდა მის სიცილში.

საინტერესო შეხვედრათა კლუბში სტუმრად იმყოფებოდნენ: ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი თეიმურაზ ლანჩავა, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აკადემიკოსი ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ოთარ ჭუმბურიძე, პოეტები ირმა ქურასბედიანი და ლია კუხიანიძე, წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი მამა გრიგოლი.

სტუმრებმა აკადემიურ დონეზე შეაფასეს მაცაცო ლოსაბერიძის შემოქმედება.

ცრემლნარევი მონატრებით ისაუბრეს მოსწავლეებმა, რომლებსაც არასოდეს დაავიწყდებათ მაცაცო მასწავლებლის სპექტაკლებად ქცეული გაკვეთილები.

მაცაცო ლოსაბერიძის შეხვედრათა კლუბი აგრძელებს მუშაობას.

მაცაცო ლოსაბერიძე

ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სათავეებთან

გაზეთის დღევანდელი ნომრიდან წარმოგიდგენთ წერილების ციკლს, რომელიც სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას ეხება. ჩვენი მიზანია, ზუსტად და ყოვლისმომცველად გავაშუქოთ ყველა ასპექტი სკოლის, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმის, არსებობისა, მისი წარსული, აწმყო, მომავალი. მისი სტრატეგიული მიზნები და მიღწეული წარმატებები.

ამისათვის საჭიროა, შევეხოთ ყველა სფეროს, ხმა მივაწვდინოთ სკოლის ყველა მესვეურს, იმათ, ვინც საძირკველს ჭრიდა და პირველი აგური დადეს, იმათ, ვინც საკუთარი სული შთაბერეს სკოლის ისტორიას, ვისთვისაც სულერთი არ არის სკოლის წარმატება თუ გამარჯვება, თუგინდ დროებითი მარცხი, იქნება ეს დირექცია თუ პედკოლექტივი, სკოლის მომსახურე პერსონალი, მშობელი, მოწვეული პროფესურა თუ მოსწავლე- კურსდამთავრებული, როგორც გულშემატკივარი სკოლისა და ქვეყნისა, როგორც სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული, საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო ასპარეზზე წარმატებული, სკოლის მეოხი და სამშობლოს გულანთებული პატრიოტი.

ალექსანდრე(ალიოშა) გოგელია და ივანე მაღლაფერიძე

ივლიანე ნაჭყებია

გენადი მარგველაშვილი

შიში იმისა, რომ აღნიშნული წერილები ვერ აიცილებს ხარვეზს, ცხადია, არსებობს, და ბუნებრივია, რადგან გონივრულია ვიფიქროთ, რომ, ერთი მხრივ, წერილები ყოველივეს ვერ დაიტევს, მეორე მხრივ, კი შესაძლოა, ჩვენვე გამოგვრჩეს რაღაც, ამიტომ სასურველია და უპრიანიც, შეგვახსენოთ და მოგვაწოდოთ ფაქტები, რომლებიც, თქვენი აზრით, აუცილებლად უნდა ჩაიწეროს სკოლის ისტორიაში და გპირდებით, რომ თუ საგაზეთო სტატიაში ვერ ან არ მოხერხდა მათი ჩამატება დაგვიანების გამო, წიგნში, რომელიც იგეგმება გამოვიდეს, ის უსათუოდ აისახება (წიგნის ფორმატი უფრო განსხვავებული და ტევადია საგაზეთო ფორმატზე, ამიტომ გარდა საინტერესო და ლამაზი ისტორიისა თუ მოგონებისა, შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ ასევე ჩვენი სკოლისთვის მნიშვნელოვანი და უნიკალური ფოტომასალა).

მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალებით ნებისმიერი ასეთი სახის თანამშრომლობის მიმართ.

მაშ ასე, წერილი პირველი, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ სკოლის „სათავეებთან".

სკოლის ისტორია 1974 წლიდან იწყება, იგი ფუძნდება რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის ბაზაზე, რომლის დირექტორს (პროფესიით ისტორიკოსს და მექანიზატორს) ბატონ ივანე მაღლაფერიძეს უჩნდება ბრწყინვალე იდეა ფიზიკა-მათემატიკის სტატუსის სკოლა-ინტერნატის ჩამოყალიბებისა, იმთავითვე მის გვერდით დგება ამაგდარი პედაგოგი ბატონი ალიოშა გოგელია — მათემატიკოსი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.

სკოლის ადგილსამყოფელია ქუთაისი, ლესელიძის ქუჩა №3, ბოტანიკური ბაღის წინ. სახელწოდება — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი („ნიჭიერთა სკოლა" თუ „ჭომის სკოლა". სხვათა შორის, ამ სტატუსის სკოლებს შორის საქართველოში იგი მეორეა, ხოლო მაშინდელ საბჭოეთში ათეულში შედის, მოსკოვის ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ნოვოსიბირსკის, ბაქოს, ერევნის, ალმა-ატის და სხვა სკოლების გვერდით).

ინტერნატი (იგივე პანსიონი) გულისხმობს, რომ სწავლა აქ მხოლოდ ქუთათურთათვის არაა, არამედ დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონისთვის, თუ რაიონისთვის, სკოლაში სწავლა ჯერ დამამთავრებელ სამ წელზეა გათვლილი (მაშინ მერვე, მეცხრე და მეათე კლასზე), რომელსაც მალევე მეშვიდე კლასიც შეეტატა. მოსწავლეები მისაღებ გამოცდებს აბარებენ: ფიზიკასა და მათემატიკაში, პირველი ნაკადის მოსწავლეები სწავლას იწყებენ 1974 წლის 01 სექტემბრიდან (საზოგადოდ, სკოლის დაარსების თარიღად ითვლება 1974 წლის 20 აგვისტო, როგორც ეს მინიშნებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 18 ივნისის №476 ბრძანებაში).

აი, ისინი, ვინც სკოლის სათავეებთან იდგა 1974 წლის 1 სექტემბრიდან:

ივანე მაღლაფერიძე — სკოლის დირექტორი, ისტორიკოსი, სკოლის დამაარსებელი;

ალექსანდრე გოგელია — დირექტორის მოადგილე, სასწავლო ნაწილის გამგე, მათემატიკოსი;

ზურაბ ხმელიძე — მათემატიკოსი, შემდგომში დირექტორის მოადგილე, ამაგდარი პედაგოგი;

ნაზი ხაჭიპერაძე — მათემატიკოსი;

თინა ჯიშკარიანი — მათემატიკოსი, აღმზრდელი, ამჯერადაც სკოლის პედაგოგი;

თამაზ ბარდაველიძე — ფიზიკოსი, ამჟამად სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორის მოადგილე;

ნათელა ნემსაძე — ფიზიკოსი, ამჟამად სკოლის პედაგოგი;

ვენერა ჯიბლაძე — ქართული ენა და ლიტერატურა, სააღმზრდელო ნაწილის გამგე;

ლეილა მონიავა — ქართული ენა და ლიტერატურა;

მარი ბოჭორიშვილი — რუსული ენა და ლიტერატურა;

ინგა თავდიდიშვილი — რუსული ენა და ლიტერატურა;

გულნარა გოცირიძე — ქიმიკოსი, სკოლის ამაგდარი პედაგოგი;

ზაირა მინაძე — ბიოლოგი, სკოლის ამაგდარი პედაგოგი;

თალიკო შათირიშვილი — ისტორიკოსი, სკოლის ამაგდარი პედაგოგი;

დალი ხურციძე — გეოგრაფია, ამჟამადაც სკოლის პედაგოგი;

ნინო ნარეშელაშვილი — ინგლისური ენა და ლიტერატურა;

ნატა ვარლამიშვილი — გერმანული ენა, ამჟამადაც სკოლის პედაგოგი;

ცისანა იაკობაშვილი — გერმანული ენის პედაგოგი;

მერი რობაქიძე — ფრანგული ენის პედაგოგი;

გერონტი ონიანი — ფიზიკური აღზრდის პედაგოგი;

ანზორ მაჩიტიძე — შრომითი სწავლების ოსტატი, პედაგოგი;

უკვე პირველივე წელს 1975 წლის იანვრიდან, სკოლაში ფეხს იკიდებენ პედაგოგები

თემურ ჯანელიძე — ფიზიკის პედაგოგი;

შალვა სარიაშვილი — მათემატიკოსი, ამჟამად ისრაელშია;

ქიშვარდი სამხარაძე — ფიზიკოსი, სკოლის ამაგდარი პედაგოგი;

აგლაია აბზიანიძე — მათემატიკოსი, სკოლის ამაგდარი პედაგოგი;

ივლიანე ნაჭყებია — მათემატიკოსი, შემდგომში 20 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორი;

დავით ნოზაძე — ფიზიკოსი, ამჟამადაც სკოლის პედაგოგი;

ვახტანგ ჯავახაძე — მათემატიკოსი, სკოლის ამადგარი პედაგოგი;

ირინა ავაქოვა — ფიზიკის ღვაწლმოსილი პედაგოგი;

კოტე ალიხანაშვილი — ხაზვის მასწავლებელი;

გულივერ ქარქაშაძე — გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებელი;

ლაურა ბესტაევა — ისტორიკოსი, ამჟამადაც ჩვენი სკოლის პედაგოგი;

ნანა გაბადაძე — მათემატიკოსი, ამჟამადაც სკოლის პედაგოგი.

ცხადია, ამჟამინდელ ინტერნატში მოსწავლეებს ემსახურებოდნენ აღმზრდელები, მუშაობდა სასადილო, დარაჯები, დამლაგებლები, მრეცხავები და სხვა.

ჩვენ პატივს მივაგებთ თითოეულსა და ვწუხვართ, რომ ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლით. ბატონი ივანეს შემდეგ სკოლის დირექტორი, (1979-86 წ.წ) ფიზიკოსი, აწ გარდაცვლილი ბატონი ელგუჯა გვეტაძე, შემდეგ იაშა ბაკურაძე (1986-1990 წ.წ.), რომელსაც ცვლის ბატონი ივლიანე ნაჭყებია, რომელსაც 2010 წლის სექტემბრამდეა სკოლის დირექტორი, ამ პერიოდში სკოლამ მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს, მაგრამ ამაზე სხვა დროს და სხვა სტატიაში...

2010 წლის შემდგომ დღევანდელ დღემდე სკოლის დირექტორი მე გახლავართ.

ცნობილი მოვლენების გამო 1993 წლიდან „ინტერნატის" შენობაში ჩასახლებას იწყებენ ლტოლვილები, ამ პერიოდში (1993-98 წ.წ.), ფაქტობრივად, ომისა და სოციალურად გაუსაძლის პირობებში სკოლა მთელი დატვირთვით მუშაობს.

1997 წლიდან სკოლა იცვლის ადგილმდებარეობას (ლესელიძის №3 მთლიანად იკავებენ ლტოლვილები). გადმოდის რა ქალაქის ცენტრში, რუსთაველის №127, მაშინდელი №29 სკოლის ბაზაზე, ხოლო 2005 წლიდან იერთებს მაშინდელ №45 სკოლას (ჯავახიშვილის ქუჩა №21), იმატებს დაწყებით საფეხურს და ამჟამად აქვს სწავლების სამივე საფეხური.

ამ პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა სკოლის სახელიც, 1995 წლიდან მოგვენიჭა დიდი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სახელი, ვიყავით სკოლა-ლიცეუმი, შემდეგში რეგიონული გიმნაზია, ცხადია, ყოველთვის უცვლელი სტატუსით. 2004-05 სასწავლო წელს მოგვენიჭა ნომერი (№41), მაგრამ გაგვიუქმდა სტატუსი, სტატუსი სკოლას 2011 წელს აღუდგა და ამჯერად ჩვენი სრული დასახელებაა სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა.

რას შევეხებით შემდეგ სტატიებში? ცხადია, განვლილ გზასა და სტატისტიკასაც მოვიშველიებთ, მაგრამ ძირითადად განვიხილავთ, თუ რითი ცხოვრობს სკოლა ამჟამად, რა სტრატეგიული გეგმები და მიზნები გვაქვს და როგორ ვაპირებთ მათ შესრულებას, იქნება ეს სტანდარტული თუ არასტანდარტული სწავლება, მაპროფილებელი საგნები, საკვირაო თუ საღამოს წრეები, სამოქალაქო კლუბი და მისი საქმიანობა, საგნობრივი კათედრები და მათი აქტიურობები, გამომგონებელთა წრე, სკოლის თვითშემოქმედება და სხვა.

გენადი მარგველაშვილი

სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორი

ცოლის ცემა გამართლებულია თუ საჭმელს წვავს, უნებართვოდ გადის სახლიდან, უარს ამბობს სექსზე...

კახეთში გამოკითხული რესპოდენტების 11,70% ამბობს, რომ ცოლზე ძალადობა გამართლებულია, თუ ბავშვებს ყურადღებას არ აქცევს; 8,10% აღნიშნავს, რომ ძალადობა გამართლებულია თუ ცოლი ქმარს ეჩხუბება; 5,20%-ს ცოლზე ძალადობა გამართლებულად მიაჩნია იმ შემთხვევაშიც, თუ ის საჭმელს წვავს; 5,80% ამბობს, რომ ცოლი საცემია თუ სექსზე უარს ამბობს; გამოკითხულთა 7,30%-ს ცოლზე ძალადობა გამართლებულად მიაჩნია, თუ ქალი სახლიდან ნებართვის გარეშე გადის.

მონაცემები გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევიდანაა, რომელიც 2013 წელს საქართველოს სამ რეგიონში ჩატარდა. გამოიკითხა 1500, 18-60 წლის ადამიანი პირისპირ ინტერვიუს მეშვეობით თბილისში, სამეგრელო-სვანეთის და კახეთის რეგიონებში.

კვლევის მიხედვით, ცოლზე ძალადობის სიმძიმე უფრო მეტად თბილისსა და კახეთში შეფასდა. კვლევის მიხედვით, ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმად ფიზიკური ძალადობაა მიჩნეული.

ოჯახში ძალადობა გამოკითხულთა 4%-თვის მისაღებია, 34% თვლის, რომ მიუღებელია, თუმცა ყოველთვის არ უნდა დაისაჯოს კანონით, 58%-სთვის ოჯახში ძალადობა მიუღებელია და თვლიან, რომ ყოველთვის უნდა ისჯებოდეს კანონით, 4%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ძალადობა ყველაზე მეტად მიუღებლად მიაჩნიათ სამეგრელო-ზემო სვანეთში (61.8%), თბილისში (55.2%) და ყველაზე ნაკლებად კახეთში (54.3%).

გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა დანაშაულია, 25%-ს აზრით ეს ოჯახის საქმეა, 6%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ქმრის მიერ ცოლის ცემას დანაშაულად მიიჩნევს კახეთში გამოკითხულების 72.1%, თბილისში გამოკითხულთა 71.7% და სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხულების 62.60%.

კვლევის მიხედვით მონაცემები ასე განაწილდა:

ქმრის ცოლზე ძალადობა გამართლებულია მაშინ, თუ:

ცოლი ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს – 13,7%;

ცოლი ეჩხუბება ქმარს – 6,6%;

ცოლი საჭმელს წვავს – 5,4%;

ცოლი უარს ამბობს სექსზე – 4,60%;

ნებართვის გარეშე გადის სახლიდან – 4,3%;

ცოლის ცემის გამართლება რეგიონების მიხედვით:

ცოლი ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს – კახეთი – 11,7%; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 23,4%; თბილისი – 6,2%;

ცოლი ეჩხუბება ქმარს – კახეთი – 8,1%; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 8,3%; თბილისი – 3,40%;

ცოლი საჭმელს წვავს – ახეთი – 5,2%; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 9,80%; თბილისი – 1,45%;

ცოლი უარს ამბობს სექსზე – კახეთი – 5,80%; სამეგრელო – ზემო სვანეთი – 6,3%; თბილისი – 1,6%;

ნებართვის გარეშე გადის სახლიდან – კახეთი – 7,3%; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4,2%; თბილისი – 1,4%;

კვლევის მიხედვით, ცოლის ცემას ქმრის მიერ ბევრად უფრო ამართლებენ საშუალო, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირები;

გამოკითხული ცოლების რეაქცია ძალადობაზე ასეთია: 69% ქმართან დაშორება, 17% მოთმენა, 14%-ს პასუხი არ აქვს.

კახეთში გამოკითხულების 73% მიიჩნევს, რომ ცოლის რეაქცია ძალადობაზე ქმართან დაშორება უნდა იყოს. რესპოდენტების 14.5% მიიჩნევს, რომ ქალმა ძალადობა უნდა მოითმინოს. კახეთში 61.8% მიიჩნევს, რომ მოტაცების შემთხვევაში ქალი კაცს არ უნდა გაყვეს. 31.8% მიიჩნევს, რომ უნდა გაყვეს სექსუალური ურთიერთობის შემთხვევაში.

ძალადობის შემთხვევაში გამოსავლად ეკლესია მიაჩნია კახეთში 70,6%-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში 81,7%-ს და თბილისში 68.3%-ს.

ადვოკატისთვის მიმართვას მიიჩნევს გამართლებულად კახეთში 69.1%, სამეგრელო-ზემო სვანეთში 54.2% და თბილისში 73%.

პოლიცისთვის მიმართვის მოლოდინი ყველაზე მეტად აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის (68.6%) მოსახლეობას და ყველაზე ნაკლებად კახეთის (61%) მაცხოვრებლებს.

პოლიციისთვის არმიმართვის მიზეზები ასეთია: 91.10% სირცხვილი; 89.70% მეტი ძალადობის შიში; 82.5% ოჯახის წევრების გაკიცხვის შიში; 81.2% საზოგადოების მიერ გაკიცხვის შიში; 78.6% გამოსავლის არქონა; 51.8% პოლიციისადმი უნდობლობა.

კითხვაზე — „რას გააკეთებდით, რომ გაგეგოთ თქვენი მეგობარი ძალადობის მსხვერპლია?“ — პასუხები ასე გადანაწილდა: 80.8% — მას დაველაპარაკებოდი; 70.6% ვურჩევდი ეკლესიისთვის მიმართვას; 70% მის ახლობლებს დაველაპარაკებოდი; 57.7% ვურჩევდი პოლიციისთვის მიმართვას; 55% ვურჩევდი სერვისის მიმწოდებლებისთვის მიმართვას; 27.5% პოლიციას მივმართავდი; 16.1% არაფერს გავაკეთებდი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ick.ge

როგორ და რატომ დავიწყოთ მეფუტკრეობა?

ერთ-ერთი ძველი დარგი სოფლის მეურნეობიდან მეფუტკრეობაა. მართალია, საქართველოში მეფუტკრეობას ოდითგანვე მისდევენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მეფუტკრეობაში ბევრი ცვლილება მოხდა და მათი გათვალისწინება აუცილებელია.

ფუტკარი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მწერია და ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებლად, რომელიც ამზადებს რამდენიმე სახის პროდუქტს და ყველა მათგანს აქვს სასაქონლო დანიშნულება. ქართული რუხი ფუტკარი დროთა განმავლობაში შეირყვნა სხვა ჯიშის ფუტკრებით და განსაკუთრებით ეს მოხდა იტალიურ ფუტკართან შეჯვარებით. მართალია, იტალიური ფუტკარი გამოირჩევა თვინიერობითა და ლამაზი ფიჭის შენებით, მაგრამ ის ბევრად უფრო ნაკლებად გამძლეა დაავადებების მიმართ და ნაკლებ პროდუქტიულიცაა. ქართული რუხი ფუტკრის წმინდა სახით ნახვა უკვე თითქმის შეუძლებელია და ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით სასელექციო მუშაობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა და, საერთოდ, ხელისუფლება აპირებს სოფლის მეურნეობაში ფინანსური წახალისებების დანერგვას, შეიძლეა თუ არა ეს წახალისება გამოიყენოს ადამიანმა მეფუტკრეობის მეურნეობის ჩამოსაყალიბებლად? რამდენად იქნება მომგებიანი მეურნისათვის თუნდაც 3%-იანი სესხის გამოტანა ამ მიმართულების ასაღორძინებლად?

რადგან მეფუტკრეობის პროდუქტები გაყიდვადი და ნაკლებად ფუჭებადია, ამიტომ ფუტკრის მოშენება ზედმიწევნით სასარგებლოა. თუ ფუტკარს კარგად მოუვლის მეურნე, მას შეუძლია 5-80 კილოგრამამდე თაფლი აწარმოოს, რაც არც ისე ცოტაა. მაღალი ხარისხის თაფლი სწორად შენახვის პირობებით ასეულობით წელს ძლებს და არ კარგავს თვისებებს. კილოგრამი მაღალი ხარისხის თაფლის ფასი, დაახლოებით, 10 დოლარია, ანუ ფუტკარმა შეიძლება 800 დოლარამდე სარგებელიც მისცეს მეფუტკრეს, თუმცა ამისთვის საჭიროა სწორად მიდგომა ამ დარგისადმი: დროული მოვლა-პატრონობა, არც ისე ძვირი სამკურნალწამლო ჩარევა და ღალიანი ტერიტორიების ათვისება ნიშნავს მაღალპროდუქტიულობას.

ფუტკარმა შეიძლება სკიდან 8 კილომეტრის იქითაც მოძებნოს ღალა, თუმცა ამ შემთხვევაში ფუტკარი ცვდება და ნაკლებ ნექტარიც მოაქვს (ფუტკარს, დაახლოებით, ცხრაჯერ მეტი ნექტრის გადატანა შეუძლია, ვიდრე თავად იწონის). მართალია, შორიდან მოტანილი ღალის თაფლი ბევრად უფრო ფერმენტირებულია და ხარისხიც მაღალი აქვს, მაგრამ თუ ბუნებრივი შაქრებით (ლაქტოზა, საქაროზა, ფრუქტოზა და ასე შემდეგ) აწარმოებს მწერი თაფლს, მას მაინც აქვს დიდი ღირებულება.

თუკი გადაწყვეტთ ფუტკრის მოშენებას და არ გაქვთ მეფუტკრეობაში გამოცდილება, აუცილებლად გაითვალისწინეთ შემდეგი: ფუტკრის შეძენა სჯობია გაზაფხულზე, ვიდრე მცენარეთა უმრავლესობა აყვავდებოდეს. ე.წ. პაკეტის ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ფუტკრის ოჯახის სტრუქტურას — აუცილებლად უნდა იყოს ოჯახში დედა, მუშა და მამალი ფუტკრები. მამლების რაოდენობა ბევრად უფრო ცოტა, რამდენიმე ათეული, ხოლო ჩარჩოები უნდა იყოს დაფარული მუშა ფუტკრებით. სტანდარტულ 12 ჩარჩოიან სკაში 60 ათასამდე ფუტკარია, აქიდან აბსოლუტური უმრავლესობა მუშაა, ერთი დედა და რამდენიმე ასეული მამალი. როცა ოჯახს ყიდულობთ, უნდა იცოდეთ, რომ 4 ჩარჩოზე ნაკლები არ უნდა შეიძინოთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ოჯახი ვერ შეადგინოთ სრულყოფილად. წესით, ოჯახის ყიდვისას ფასწარმოქმნა ხდება თაფლერთეულის მიხედვით: ერთი ჩარჩო ფუტკარი, დედა ერთ თაფლერთეულს წარმოადგენს და ზუსტად ღირს კილოგრამი თაფლის ფასი. ანუ ერთ „პაკეტში“ 50 დოლარის ექვივალენტის გადახდა მოგიწევთ (სკის გარეშე). თუ გექნებათ საშუალება, რომ მთლიანად სკა შეიძინოთ, ასეთ დროს უნდა დააკვირდეთ ფუტკრის ოჯახის მდგომარეობას.

თუ ფუტკრები ხალისიანად დაფრენენ საფრენის წინ და მძიმედ ეშვებიან მასზე, ესე იგი, ჯანმრთელი და შრომისმოყვარე ოჯახთან გაქვთ საქმე. ასეთი ოჯახის შეძენა ნამდვილად ღირს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ჩარჩოებზე თაფლის, ბარტყისა და კვერცხის ოდენობას. წრიულად დაკვერცხვის დროს ვხვდებით, რომ დედა ფუტკარი ზედმიწევნით კარგია და ახალგაზრდაა. თუ გაფანტულად დევს კვერცხი უჯრებში, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან დედაა ძალიან ახალგაზრდა ან კიდევ გადაბერებული. სკაში უმეტესი ნაწილი უნდა იყოს ახალგაზრდა ფუტკარი და არა გაცრეცილფრთებიანი ძველი თაობის. ახალგაზრდა ფუტკრები უფრო მცირე ტანისა და რუხია, ხოლო ძველი თაობისანი — შავი.

როგორც წესი, ფუტკარი არ მოიხმარს ჟანგბადს და ამიტომ დიდ საფუტკრეებში მუდმივად ჟანგბადის სიუხვეა. ამიტომ რეკომენდირებულია საფუტკრის ჰაერის ხშირი გამოყენება. მოკლედ, თუკი თქვენს გარშემო ყვავილოვანი მცენარეები ბევრია (განსაკუთრებით ცაცხვი, აკაცია, წაბლი, მზესუმზირა და სხვა), უმჯობესია, იფიქროთ ფუტკრის მოშენებაზე. თაფლის გარდა თქვენ ხელს შეუწყობთ მცენარეთა დამტვერვას და მემცენარეობის პროდუქტიულობა გაიზრდება ბევრად.

მართალია, ფუტკარმა მწარედ დანესტვრაც იცის, მაგრამ თუკი მეფუტკრეობის წესებს დაიცავთ, უმიზეზოდ ფუტკარი არ დაგ'შხამავთ. ამ მწერებს არ უყვართ ღამით ან საღამოს „შეწუხება“, არც მძაფრ სუნს გაპატიებენ (ოფლი, სუნამო, ალკოჰოლი, სიგარეტი და ა.შ.). დანარჩენ შემთხვევაში ფაქიზად მოპყრობისას ფუტკარი ჩვეული რიტმიდანაც არ გამოდის და სკასთან მუშაობის დროს მეფუტკრე შეამჩნევს, რომ ისინი აგრძელებენ ყვავილის მტვრისა და ნექტრის მოტანას, ასევე ბარტყის მოვლასა და ასე გასინჯეთ „ცეკვასა“ და დედის ამალის მოვალეობასაც არ წყვეტენ.

საინტერესო ფაქტია, რომ ფუტკარი, მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულებია აწოდებს ადამიანს თაფლს, დინდგელს, ცვილს, რძეს, ჭეოს, მაინც ველურ სახეობად რჩება, რადგან დედა ფუტკრის განაყოფიერება ასეულობით მეტრის სიმაღლეზე ჰაერში ხდება და არა სკაში. ამავდროულად, ფუტკრის გამძლეობის (სავარაუდოდ, ის 30 მილიონი წლის სახეობაა) საფუძველიც ისაა, რომ დედას ანაყოფიერებს არა თავისი ოჯახის მამალი, არამედ სხვა ოჯახისა. თან მამალი განაყოფიერებისას კვდება, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს „სისხლის აღრევას“.

რაც შეეხება ფუტკრის დაავადებებს, ის ძირითადად, მოუვლელობის დროს ვითარდება. იაფი წამლები და სუფთა სკა გარანტიას იძლევა, რომ ფუტკარი არ „ჩაქრება“ და სწრაფადაც გამრავლდება.

როლანდ ხოჯანაშვილი

გახსენება

გიორგი გუბელაძის ხსოვნას

24 მარტს ერთი წელი გახდა, რაც გიორგი აღარ არის ამქვეყნად.

3 მარტს მისი დაბადების 27-ე წელი მის სამუდამო განსასვენებელთან აღნიშნეს ახლობლებმა.

მისმა უახლოესმა და უსაყვარლესმა ადამიანებმა ნაადრევად გაჭრილ საფლავთან მიუტანეს ყვავილები და „ჩიქაც წაუქციეს".

გაზაფხულის გაელვებას ჰგავდა გიოს სიცოცხლე, 26 წელიწადში ჩაატია ყველა ახალგაზრდული ოცნება, შესრულებული თუ შესასრულებელი ჩანაფიქრები. სრულიად ახალგაზრდა გახდა მამა და თავის უსაყვარლეს მეუღლესთან, მელანო ჩაჩანიძესთან ერთად, დიდი სიყვარულით ზრდიდა პატარა ანამარიას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასრულებასაც აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო...

წარსულად იქცა გიოს ყველა ნაბიჯი. ახლობელთა მოგონებებში გადაინაცვლა მისმა სიმღერებმა, იუმორმა, ღიმილმა.

მოულოდნელად წავიდა და განუკურნელი ტკივილი დაუტოვა მელანოს, მშობლებს — ნატო და ჯემალ გუბელაძეებს, თავის საფიცარ ქალიშვილს — ანამარიას, დიდ სანათესაოსა და სამეგობროს. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ბევრი რამ უნდა მოესწრო ამქვეყნად, საფლავის ქვიდან შემოსცქერის მასზე მლოცველ ადამიანებს.

უფალს შევთხოვთ, ნათელი დაუმკვიდროს მას!

ოჯახი

სამძიმარი

აბაშის რაიონის, სოფელი მარნის ვაჩეიშვილის ქუჩის უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ უდიდეს მწუხარებაში თენგიზ ვაჩეიშვილს, მამის, **ბიქტორ ვაჩეიშვილის** გარდაცვალების გამო.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. საჩხერე; 5. ფსონი; 6. ავი; 8. მაო; 9. კასპი; 11. იოკასტე.
შვეულად: 1. ოჩანი; 2. გეა; 3. სოსლანი; 4. ეგვიპტე; 7. მარსი; 10. სკა.

პრეზიდენტი და მოქალაქე



კობა ლიკლიკაძის ბლოგი; რადიო „თავისუფლება"
radiotavisufleba.ge

18 მარტს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის" დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობას ორი მნიშვნელოვანი ამბავი აუწყა: ერთი უსიამოვნო და მეორე — სასიამოვნო.

უსიამოვნო ისაა, რომ საქართველოს პოლიტიკა კვლავ შედის რაღაც გაურკვეველი კოჰაბიტაციის ფაზაში, რომლის დასასრულს ვერავინ განჭვრეტს.

„ორი თვე მქონდა საკმაოდ ბევრი პოლემიკა უკვე არჩეულ პრეზიდენტთან. მრავლად იყო გაუგებრობა ჩვენ შორის. ორი თვის განმავლობაში გვქონდა ძალიან ჩაჭიდებული პოლემიკა. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ. 60 წლის ვხდები და მსგავსი მაგალითიც არ მახსოვს," — განაცხადა „ტელეიმედის" ეთერში იმედგაცრუებულმა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და მას შორის დასრულდა „არაფორმალური ურთიერთობები", რითიც ორივე პოლიტიკოსი ძალიან ამაყობდა ახლო წარსულში.

არადა, სწორედ მათი ეს არაფორმალური დამოკიდებულება, მათი ეს საამაყო მეგობრობა იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს მეოთხე პრეზიდენტად მოევლინა.

არავისთვის არის დასამალი, რომ გიორგი მარგველაშვილი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, მთლიანად ბიძინა ივანიშვილის „პროდუქტია" — სწორედ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა შესთავაზა ყოფილი განათლების მინისტრის კანდიდატურა ჯერ მმართველ გუნდს და მერე მთელ საქართველოს, რომელსაც კოალიცია „ქართული ოცნების" ყოფილი ლიდერი პოლიტიკიდან წასვლითაც ემუქრებოდა, თუ მისი ფავორიტი არჩევნებში ხმათა 60%-ზე ნაკლებს მიიღებდა. მაგრამ ბიძინა ივანიშვილის წერტილოვანმა ბრეინვოშინგმა შედეგს მიაღწია. გიორგი მარგველაშვილმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, საქართველოს ისტორიაში პირველად მშვიდობიანი არჩევნების გზით მოხდა პრეზიდენტის შეცვლა, ინაუგურაციის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმაც მალე დატოვა თანამდებობა, მის მთავარ ფავორიტ ირაკლი ღარიბაშვილს გადააბარა პრემიერ-მინისტრის პოსტი და თავად მესამე სექტორს მიაშურა მესამე და უმთავრესი ამოცანის შესასრულებლად — პოლიტიკური მემკვიდრეებისათვის საიმედო ზურგის შესაქმნელად საზოგადოების ყველაზე ურჩ ნაწილში.

მაგრამ, როგორც გაირკვა, „ხასიათის გამოჩენით", საქართველოს პრეზიდენტმა დისონანსი შეიტანა მენტორის დატოვებულ წესრიგში. ხასიათის ეს უცნაურობა კი, ბიძინა ივანიშვილის თქმით, იმაში გამოიხატა, რომ გიორგი მარგველაშვილმა თანაშემწედ დაასაქმა „ნაციონალური მოძრაობის" ერთი-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანი, რომლის არასაიმედო ბუნების კრიტიკასაც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დიდი დრო დაუთმო. მარგველაშვილს ასევე შეცდომებად ჩაეთვალა მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტზე გუნდის ნების საწინააღმდეგოდ ვეტოს დადების მცდელობა და სამუშაოდ გადასვლა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს აშენებულ ავლაბრის რეზიდენციაში, რომელში შესვლაზეც არჩევნების წინ მარგველაშვილი კატეგორიულ უარს აცხადებდა.

აი, ეს არის ძირითადად მარგველაშვილის ის არასწორი ნაბიჯები, რომელთა გამოც „ჩატყდა ხიდი" საქართველოს პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს შორის.

თუ გავითვალისწინებთ ბიძინა ივანიშვილის უზარმაზარ გავლენას ყველაზე დიდი ძალაუფლების ცენტრზე — ქვეყნის მთავრობასა და მის პრემიერ-მინისტრზე, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორისაც ვერ იქნება კარგი.

ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტის პირველ საანგარიშო მოხსენების მოსასმენად 21 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში მინისტრთა კაბინეტის არც ერთი წევრი არ მივიდა.

ერთი სიტყვით, სახეზეა გაუფორმებელი, არაკონვენციური კოჰაბიტაცია, სადაც ერთ მხარეზეა ძალაუფლების ვერტიკალის გარეთ მყოფი, მაგრამ რეალურად დიდი გავლენის მქონე მოქალაქე ივანიშვილი და თითქმის უუფლებო პრეზიდენტი მარგველაშვილი. მიხეილ სააკაშვილისაგან განსხვავებით, საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს არ ჰყავს საკუთარი პოლიტიკური გუნდი, არ ჰყავს რწმუნებულები რეგიონებში, არ აქვს ფრაქცია პარლამენტში, არ გააჩნია მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა, არ ფლობს გავლენას საფინანსო წრეებსა და მედიაში. ასეთ ვითარებაში საზოგადოებასთან და მმართველ კოალიციასთან გიორგი მარგველაშვილის გრავიტაციას სწორედ ბიძინა ივანიშვილის უპირობო მხარდაჭერა უზრუნველყოფდა.

გრავიტაცია შემთხვევით არ მიხსენებია. საქართველოს ტურბულენტურ პოლიტიკურ სივრცეში მყოფი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ნამდვილად წააგავს რეჟისორ ალფონსო კუარონის ცნობილი ფილმის, „გრავიტაციის" (2013 წლის „ოსკარის" ერთ-ერთი პრეტენდენტი) მთავარ გმირს, ასტრონავტ რაიან სტოუნს (სანდრა ბალოკი). კატასტროფის შედეგად მშობლიურ კოსმოსურ ხომალდს მოწყვეტილ ასტრონავტს, თავიდან შიში შეიპყრობს, მაგრამ მოგვიანებით გააცნობიერებს, თუ რა დიდი დამსახურება გაუწია კოლეგა მეტ კოვალსკიმ (ჯორჯ კლუნი), როდესაც თოკიდან ჩახსნა და მარტო დატოვა იგი ღია კოსმოსში.

ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ ანალოგია მართებულია და ბიძინა ივანიშვილს გიორგი მარგველაშვილის მიმართ იგივე მოტივაცია ამოძრავებდეს, რაც ჯორჯ კლუნის გმირ ასტრონავტს. მაგრამ უეჭველია, რომ პოლიტიკური მენტორის ორბიტიდან მოწყვეტა გიორგი მარგველაშვილს დამოუკიდებელ და ანგარიშგასაწევ ლიდერად ქცევის შანსს აძლევს.

„ხასიათის ჩვენებითა" და საკუთარი მიზერული უფლებების რეალიზებით: იქნება ეს ყოფილი პრეზიდენტის სასახლეში გადასვლა, მმართველი გუნდის მიერ შემუშავებულ რომელიმე სადავო კანონპროექტზე ვეტოს დადება თუ სამომავლოდ რომელიმე პოლიტიკური ოპონენტის შეწყალება — გიორგი მარგველაშვილი ამტკიცებს, რომ მან ქვეყნის პრეზიდენტობა გადაწყვიტა და ეს, ჩემი აზრით, ძალიან სასიამოვნო ამბავია.

სულ მცირე, იმას მაინც აღარ წამოაძახებენ საქართველოს პრეზიდენტს, რომ იგი ვინმეს მარიონეტი და ხელით სატარებელი ბავშვია.



შეადგინა ალეკო ნემსაძე

ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდა ნანა ფანცხავა.



რას დაარქმევდით?

გურამ ოდიშარია

დაგვიკავშირდით:

- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



თინა მახარაძე

„თინათინ მზესა სწუნობდა..."

მარი კოხრეიძე

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. „სოსოიას რუსის" სახელი; 5. აბლაბუდა ანუ? 6. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.); 8. დიდი ჩაქუჩი; 9. „შოკოლადის" ხე; 11. კონტინენტი.

ვერტიკალურად: 1. ქმრის ძმა; 2. ... კიხოტი; 3. ქვეყანა ევროპაში; 4. შტატი აშშ-ში; 7. ფეხბურთელი ... კემპესი; 10. მეორე პირის ნაცვალსახელი.